

დაგოჭიდიებალი სპორტული გაზეთი

22 იანვარი, საშაბათი, 1991 წ.
№ 11 (10 424) ● შანი 10 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

**შვიძენა ეროვნული
თავდაცვის ფონდი.
ფონდის სახელზე
აპროგრამირების
საპარტვილოს ყველა
რაიონულ და სახალაო
განყოფილებაში თანხა
შეგიძლიათ შეიტანოთ**

მე-700

**ანგარიში.
თანხის გადასაცემის
თარგამი გვაცნობათ.**

თელავის რაიონის სახეივანო-
სახლების სამეურნეო-მეცხოველე
საწარმომ ეროვნული თავდაცვის
ფონდში გადაიტება 10 000 მანეთი.

**გ. თანდინაშვილი.
(დეპეშით).**

სამაგალოს ალორქინების ფონდი:
საპარტვილოს მრეწველობის
საოკრაციო სამმართველო სფ № 521921

00700750
საქართველო
საბჭოთა კავშირი

თანხის გადასაცემის თარგამი გვაცნობათ.

**სამაგალოს ალორქინების ფონდი
ეროვნულ ფონდად იქცა**

● სახელმწიფო კონცერნ „საქავტოზის“ პირველი ტრენტის 22-ე
საგზაო ხარეონტო-სამშენებლო სამმართველო — 5000 (გვაცნობა ფ.
ხარატინა, ლეპეშით).

კუთხისი

● ბავშვთა პირველი პოლიკლინიკა — 1500 (დეპეშით, ღ. ჭულელი).

ლაგოდახი

● ავტოსატრანსპორტო საწარმო — 10 000 (დეპეშით, თ. კაბანაძე).

სეოპ-ი და მისი პრობლემები

მოსკოვის გავლით. ...მოსკოვის გვერდის ავლით

საპარტვილო განაგრძობს უცხოეთთან დამოუკიდებელი სპორტული კონტაქტების გზების ძიებას. ამ მიზნით საქართველოს დელეგაცია მიემგზავრება შვეიცარიაში, სადაც იანვრის ბოლო დეკადაში სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება ჩატარდება სათხილამურო სპორტში. ნავარაუდევია, რომ 1993 წელს ამ ასპარეზობას საქართველომ, კერძოდ კი გუდაურში, უმასპინძლოს. ჩვენი დელეგაციის ამოცანაა საორგანიზაციო საკითხების საბოლოო გადაჭრა. სხვათა შორის, ჩვენი ობიექტია დელეგაციაში ასპარეზობის მონაწილედას საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენელი, ჟურნალისტი, სამთომთხილამურო კობა წაქაძე. ცხადია, გვეძლევა შესაძლებლობა არაოფიციალურ დონეზე შევიცაროთ შვეიცარიაში სპორტის ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) წარმომადგენლებს და უშუალოდ პირველხარისიანი მივიღოთ ინფორმაცია ჩვენთვის ესოდენ საინტერესო და ჭკრ კიდევ გაურკვეველ პრობლემებთან დაკავშირებით. რაკი ყველა გზა ჭკრჯერობით მაინც მოსკოვზე გადის, ვისარგებლეთ შენობებში და სსრ კავშირის განხორციელებულ ოლიმპიური კომიტეტის ვიზიტით. იგივე თემაზე აქაც არაოფიციალურ, პირად საუბარში გვიცხადებდა ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან გაგვეჩვენა ზოგიერთი პოზიცია. ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელი ვიტალი სმირნოვი, სამსუბაროდ, მოსკოვში არ დავგვტა.

რედ ლენცი და საკავშირო სპორტ-სახეობის თავმჯდომარის მთავარი კოზლოვსკი ჩამოვიდნენ რეგამი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს წარმომადგენელთა შეხვედრაზე, რათა როგორმე არ დაეშვათ ოთხი რესპუბლიკის სპორტული ალიანსი. მაგრამ მაშინ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოლიმპიური მობარობის ლიდერებმა და საქართველოს სპორტსახეობის თავმჯდომარემ ნ. ენდლაძემ (იმ დროისათვის, საქართველოში არ იყო სეოკ-ი. ფაქტობრივად, მაშინ ამ შეხვედრიდან დაიწყო ჩვენი მუშაობა სეოკ-ის შექმნისათვის) მაინც მოაწერეს ხელი საერთო პოზიციის გამოხატვულ დოკუმენტს, რომელიც თავის დროზე „ლელოში“ გამოქვეყნდა.

აქვე ვიტყვი, რომ საბჭოთა ეოკ-ის მაშინდელი და ახლანდელი პოზიციები თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან; ყოველ შემთხვევაში, ლენციან ჩვენი საუბარი, რომელსაც ქვემოთ უცვლელად ვთავაზობთ, ამას ნათლად ადასტურებს.

● მივიღეთ თქვენი წერილი და დეპეშა, სადაც დაბეჭდილი ითხოვთ ოლიმპიური კომიტეტის შეზღუდვებისა და საქართველოს ორი კანდიდატურის წარმოდგენას. თქვენ კარგად იცით, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დამოუკიდებელია და იგი აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას...

— თქვენ კი აღიარებთ, მაგრამ სოკ-ი აღიარებს? ეს რომ ცალმხრივ სიყვარულით მოგვარდნებს.

● არა უშვავ, ცალმხრივი სიყვარულიც საქმეა, ხშირად იგი ბოლომდე როდინ რჩება ცალმხრივი, მაგრამ ეს ხევა საკითხია. თუ შეიძლება ის ვფიქრობთ, ცნობთ თუ არა, ან ამირებთ თუ არა სცნობთ რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სუვერენული უფლებები?

— ჭკრ ერთი, ასეთი კომიტეტები „ემოციონალური“ უფროა, ვიდრე „ნაციონალური“. თქვენ რა, მართლა გგონიათ, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს ვინმე დაუშვებს ოლიმპიურ თამაშებზე როგორც ცალკე დელეგაციას? ჭკრ პოლიტიკური თავისუფლებაა მთავარი.

● ეს ჩვენც კარგად გვეხმის, მაგრამ, რომ შეუძლია თითოეულ დარგს ხელი შეუწყოს პოლიტიკურ თავისუფლებას?

— სად მიიქარით, რატომ იღებთ მსხვერპლს? საქართველოსთვის, თუნდაც ეკონომიკურადაც კი, არა მგონია ხელსაყრელი იყოს კავშირიდან გასვლა.

● გამოდის, რომ თქვენ არ გხვრთ მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიური მობარობის სუვერენიტეტის აღიარება.

— გესურს, მაგრამ გესურს ის, რომ რესპუბლიკების ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა პრობლემა გადაეჭრათ ოლიმპიურ იდეებს თავიანთ ტერიტორიაზე.

● ხუდ ეს არის?

— ეს ცოტა არ არის, სპორტი პოლიტიკის თანმდევი. ასე რომ, ვიმეორებ, ვიდრე არ გქვინებთ პოლიტიკური თავისუფლება, ოლიმპიური თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობას ვერ შეძლებთ.

● საქართველოს რესპუბლიკამ გარდასვლი პერიოდი გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკავშირო დავებში დაბრუნდნა თანდათან გამოვა ყველა დარგი და სფერო, რომელიც „ცენტრთანა“ მიჭკვეული. გარდასვალ პერიოდში საქართველოს სპორტული ფედერაციები რომ საკავშირო ფედერაციებს გამოეყონ, თქვენ კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღიაროთ, ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

— თქვენ გგონიათ, რომ თუნდაც ჩვენი აღიარების შემდეგ სოკ-ი ხელს გამოგიწვდით და თავის რიგებში მიგიღებთ? არავითარ შემთხვევაში, ერთი ქვეყნიდან ერთი ოლიმპიური კომიტეტი — ჭკრჯერობით ასეა. ქვეყანა არ დანაწევრებულია. ხომ ხელდავს იხვე პოლიტიკურ საკითხს მივადეკით.

● ოლიმპიური ქარტია იმხანც ითვალისწინებს, რომ დებსიმიერ სპორტსმენს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეა, ეძლევა უფლება გამოვიდეს თამაშებში; ჭკრჯერობით ჩვენ მართლაც ერთი ქვეყნის მოქალაქე ვართ...

— გინდათ მითხრათ, რომ, თუ თქვენი ფედერაციები საკავშიროს გამოეყოფიან, საქართველოს წარმომადგენელი მაინც წავა თამაშებზე, როგორც საბჭოთა მოქალაქე? არც ეს მოხდება, სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშებისთვის საკავშირო ფედერაციები არჩევენ, ფედერაცია კი ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის წევრია — გათავდა!

● ვთქვით, საქართველოს სპორტსმენებს უარი განაცხადებს საბჭოთა ნაკრებში ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობაზე.

— ეს თქვენი პრობლემაა და არა ჩვენი.

● მაინც რას ფიქრობთ: ვერ დავიჭრებთ, რომ თუნდაც დღეს, ახლანდელ სიტუაციაში, გამოხავალი არ არის, მაგრამ...

— ჩვენ ვანუხრებლად დავიცავთ ოლიმპიურ ქარტიას. ისე, დილოგს

რესპუბლიკებთან არ გავუბრვიართ. გირჩევთ, უკრაინის ოლიმპიურ კომიტეტს, — პირადად ვალერი ბორზოვს მიმართოთ, საინტერესო წინადადებები აქვს.

● გმადლობთ რჩევებისათვის.

● **ლენცისთვის** საუბარში არაფერი მითქვამს, რომ შვეიცარიაში მიემგზავრებით და შეიძლება ზოგიერთი საკითხი მოსკოვის გვერდის ავლით იქაც გავარკვიოთ. განდობას არბი არ ქქონდა, ხელი კი ფარულად ყოველთვის შეიძლება შევიშალოთ.


მიმე გულით დავტოვებ ის ცივი ატმოსფერო, რომელიც მუდამ სუფევდა და ახლაც სუფევს საკავშირო ცენტრალურ უწყებებში. გართაც სუსხიანი დღე იღვა მოსკოვში, ქალაქში, რომელიც, რა ღონეს აიარ ხმარობს, რომ სსრ კავშირის შენარჩუნებისთვის სასურველი პოლიტიკური ამინდი მოახვიოს მთელს ქვეყანას. სპეტაკი მხოლოდ თეთრი, ჭითხათა თოვლი იყო... მივუყვებოდი გატყენილ ბილიკს და ვფიქრობდი, ნეტავ კიდევ რამდენ ხანს ვივლით სხვის ნაკვალევზე.

**თენგიზ გაჩაჩილაძე,
ჩვენი სპეც. კორ.
მოსკოვი (ტელეფონით).**

P. S. საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან კონცერნ „საქავტოზის“ პრეზიდენტი ზეზვა ლუღუნიშვილი, ერთობლივად საწარმო „გუდაურის“ მშენებლური დირექტორის შოადალევ ვახტანგ მიქელაძე, კობა (უმცროსი) წაქაძე და ამ სტრუქტურის ავტორი, შერემეტევი-2-ის აეროპორტიდან დავაგვიდა რეისით ვერ გაფრინდა უფევავში. „წითელი შუქი“ აინთა ხაბაბოს გავლის შემდეგ, უშუალოდ თვითმფრინავში ნახსლდომის წინ. მიწეში ჩვენთვის ცნობილიცა და უცნობიც. საკავშირო დელეგაცია იმავ რეისით უკვე გაფრინდა შვეიცარიაში, იხე რომ მომხდარი „გაუგებრობის“ გამო ჩვენთვის თანგარმობაც არავის გამოუთქვამს.

იხვე მოსკოვში ქართველი მეომბრების — ფირმა „ტოროლას“ დირექტორის დავით ანთელიძის და კომერციული დირექტორის დამიტარი თარხნიშვილის, აგრეთვე ვაჭურისში. თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხზე დამატებით ინფორმაციას მოსკოვიდან ვეღარ მოგაწვდით.


19 იანვარი.



**რაკეტისია
თბილისში
ჩამოსვლადა**

როგორც ცნობილია, თბერგლის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარდება სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოს ორჯანის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში სასპარეზოდ ჩვენი დელეგაციაში მუდამ ჩამოდინ მსოფლიოს უწლიერესი ათლეტები. ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფება აშშ-ის მოქიდევეთა გუნდი, რომელიც ჭკრ სხვა ტურნირებში გამოდის, მერე კი თბილისსაც აწვევა.

კვირას კრასნოარსკში დამთავრდა ორჯანის ოლიმპიური ჩემპიონის ივან იარიგინის სახელობის ტურნირი, რომელშიც საბჭოთა და ამერიკელი ათლეტების გარდა გამოდიოდნენ კანადის, მონღოლეთისა და იაპონიის მოქიდევეებიც. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბატორ სირენგულენი (მონღოლეთი), ვლადიმერ თოგუხოვი, სტეფან სმალი, სტეპან სარქისიანი, ბარის ბუდევი (ყველა — სსრკ), დეივ შულცი (აშშ), ვლადიმერ ბატოშენკო (სსრკ), კრის ემპელი (აშშ), ანდრეი ვოლოკო და დამიტარი კლიმევი (ორივე — სსრკ).



დღესაც თბილისელთა უპირატესობით წარმართა შეხვედრა, რომელიც მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 89:78 (44:38).

მითხეული „უფლებამოსილი“...

საპარტვილო ინფორმაცია მივიღეთ ვორთენკიდან, სადაც ახლახან დამთავრდა 18 წლამდე ასაკის გოგონების საკავშირო პირველობა. ასპარეზობა, რომელშიც 58 მოქალაქე დაეწებებოდა ერთმანეთს, შეეცარაული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა.

ტურნირზე წარმატებით გამოვი-

დნენ ჩვენი მოკავშირეები — ინგა ხურცილაძე 7,5 ქულით III ადგილი დაიკავა, ამდენივე ქულა მოაგროვა ნინო ხურცილაძემ, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო იგი მხოლოდ VII ადგილზე გავიდა. VIII-XII ადგილები სხვებთან ერთად გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებში; თამარ ფარულაია და მათა ლომინიშვილი.

ოთხივე მოკავშირე 18 წლამდე ასაკის გოგონების მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო.

ამავე ტურნირში 6,5 ქულა დააგროვა დინა დარჩიამ, 5,5 — ნატო ემგვერაძემ, ხოლო ეკა გიორგაძემ 4,5.

რაც შეეხება პირველ ადგილს, იგი 9 ქულით არავის დაუთმო ბაქოელმა ოსტატობის კანდიდატმა აღინა კალიმოვამ. მას მხოლოდ ქულით ჩამორჩა როსტოველი ოსტატობის კანდიდატი ელენა კოვალევსკია.

საპარტვილო სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კალათბურთულ ვაკთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონობასთან ერთად საკავშირო პირველობის ფინალში გასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლებაც მოაგოვა. ჭკრჯერობით მიმდინარეობს შესარჩევი ტურნირი. თბილისელთა მეტოქე პირველ ტურში იყო აზერბაიჯანის ჩემპიონი — ბაქოელთა გუნდი. ტურნირი ტარდება სისტემით: ორ-ორი თამაში შინ და სტუმრად. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა პირველ დღეს ახვარიში 100:84 (46:37) დაამარცხა მეტოქე. მეორე

„...თავდასულობაში პრობა მართებს“

ხშირ შემთხვევაში ფეხბურთში მეკარის კარგ თამაშზე დამოკიდებულია შეხვედრის ბედი, ამიტომაც იტყვიან ხოლმე — კარგი მეკარე მთელ გუნდს უდრისო. ერთი შეშინებული შეხვედრა: როცა მოთამაშეები გრძობენ, რომ მათ ზურგს უკან ყველაფერი წესრიგშია, უფრო თავისუფლად, ყოველგვარი შედეგის ფაქტორის გარეშე ირჩებიან. ეს გარემოება კი ფეხბურთში ცოტას როლი ნიშნავს.

საქართველოს ყოფილი მწველია დიდი მეკარეები. მათ თამაშს განსაზღვრავდა მოპყვავდა ათი-ათობით ფეხბურთის მოყვარული. ძნელია გაიხსენო რუსულ-ლივის პირველი გუნდის ისეთი შემადგენლობა, სადაც კარში სუსტი მეკარე მდგარიყო. ანზორ კავასაშვილის „ნახზე“ თამაში შეუდარებელი იყო არა მარტო კავასაშვილს, არამედ ყველა მოთამაშესთან. საფეხბურთო სკოლა აღჩრდილში, სპორტული კარიერა ესე დასრულდა, სეროზული ჩავარდა არც ჰქონია. მაღალ ბურთებზე გამოსვლაში ბადალი არ ჰყავდა რამაზ ურუშაძე — მისი და ფორვარდების თითქმის ყველა სპაერო „დუელი“ მეკარის გამარჯვებით მთავრდებოდა. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეკარე ლევ ანდინი იგი თავის უშუალო შემცვლელად კი მიიჩნია.

სამწუხაროდ, არაერთი ჩვენი მეკარის ნიჭი სრულად ვერ „გაიხსნა“. ამის უპირველესი მიზეზი კი არაა ვახლად, რომ ნიჭიერი მოზარდი, რომელიც თბილისის „დინამოში“ ვერ ხვდებოდა, პერსპექტივას ვერ ხედავდა და ნაადრევად ანებებდა თავს თამაშს. არადა, ყველა მოთამაშესთან შედარებით, მეკარის ნიჭი უფრო მოგვიანებით ვლინდება სრულად. ფეხბურთის ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, როდესაც გამოუცდელი მეკარე რამდენიმე სერიოზულ პროგრესს მიაღწიოს დროის მოკლე მონაკვეთში. ანზორ კავასაშვილს კი ვერ შეძლო „მოეხდინა ფეხი“ რუსულ-ლივის პირველ გუნდში, და თავისი ნიჭი და უნარი მრავალი წლის მანძილზე მოსკოვის კლუბების: „ტოტენდამის“ და „სპარტაკის“ კეთილდღეობას შეალო.

ძნელია გაიხსენო ყველა ის ნი-

ჭიერი მეკარე ჩვენს რუსულ-ლივის, რომელსაც არ მიეცა თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. ერთ მათგანს წოდებენ „შეხვედრის ბედი“: 60-იან წლებში თბილისის „დინამოს“ კარს საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მეკარე — სერგო კორტიკაძე იცავდა. ერთ შეხვედრაში ტრავმის შემდეგ, მისი ადგილი დაუბრუნებდადგენლობის მეკარემ ნ. ლევანთაძე დაიკავა. მან ისე ჩაატარა რამდენიმე მძიმე მატჩი, რომ საკუთარი კარის ბადალი ბურთი არ გამოუტანია და... ისე დაამთავრა კარიერა, რომ სრულად ვერ გამოავლინა თავისი ნიჭი და უნარი. მსგავსი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, ბევრი შეგვიძლია.

დღეს კი, ჩვენს სასიხარულოდ, საქმე სხვაგვარადაა — ვისაც ნიჭი და სურვილი აქვს, ყველა შემთხვევაში თავის გამოჩენას. მარშანდელმა საფეხბურთო ჩემპიონატმა არაერთი პერსპექტიული გოლკეპერი წარმოაჩინა. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, კი, წლის საუკეთესო მეკარედ ქუთაისის „ქუთაისის“ კარის დარაჯი ნიკა ჩხეიძე მიიჩნევა. წლის საუკეთესო მეკარე აღიარდა, თბილისის „იბერიისთან“ სამწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი. დღეს გათვალისწინებული ინტერესის მასთან.

● ნიკა, თუ ელოდით, რომ ავტორიტეტული უფრო ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დაგასახლებდით?

— სიბარბოლე ვითხრათ, ამაზე არც მიფიქრია, რადგანაც ეროვნულ ჩემპიონატში იმდენი მაღალი კლასის მეკარე თამაშობდა, რომ პირველობაზე ფიქრი წარმოუდგენლად იქნებოდა. ჩაბოვი, ჭინთარია, ბალაძე, მაძინაშვილი, კანტურია ის მოთამაშეები არიან, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის საკმაოდ გამოცდილება აქვთ და ფრიალზე ვიციან თავიანთი საქმე. რაც შეეხება ჩემს უდიდეს აღსახელებას, ეს, ალბათ, ერთ-ერთი ანაზნა უფროსი მონიჭებული პირველობაზე ბევრი მიიქვია. ჩემზე უკეთ არაფერ იცის ჩემი სუსტი მხარეები, რომლის გაუმჯობესებებისთვის თავდაუზოგავი შრომა მმართებს.

● თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვე-

ნი საფეხბურთო ცხოვრების შეხებზე?

— საჩხერეში დავიბადე, ფეხბურთის თამაშზე აქვე დაიწყე მადლობელი ვარ ჩემი პირველი მწვინელის ჯონი მიქაძისა, რომელმაც პირველად მიმიჩინა ადგილი კარში. მოგვეხსენებოდა, რა პრობლემები ბაზების მხრივ ჩვენს რუსულ-ლივის გუნდში არსებობდა. გამონაკლისს არც ჩვენი რაიონი წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ბატონი ჯონის მცდელობით, ჩვენი რაიონის ბევრმა მეკარემ ითამაშა დიდი ფეხბურთი. დღეს კი უმაღლეს ჯგუფში ჩემს გარდა კიდევ ერთი მისი აღზრდილი გამოდის — სამტრედიის „სანავარდოს“ მეკარე იური თოდუაძე.

საჩხერის გუნდში, ორი წელი



ნიკა ჩხეიძე

დავავი, შემდეგ კი ბატონმა ლერი ვერულთაძემ, რომელიც იმდროინდელი საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა, გუნდში მიმიწვია. აქედან დაიწყო ჩემი ჯგუფი და სპორტში. ბოლო წლებში, ქუთაისის გუნდის კარს ვიცავ. ვსარგებლობ შემთხვევით და მდლობა მინდა გადავუხადო ქალაქის ხელმძღვანელობას, მწვინელისთვის, მოთამაშეებს იმ ყურადღებისთვის, რომელსაც ჩემს მიმართ იჩენდნენ. დიდ მდლობას ვუხდებ ბატონ ოთარ გაბელიასაც. სწორედ ის დამხვდა ქუთაისის გუნდში ძირითად მეკარედ, როცა ამავე გუნდის დუბლშემადგენლობაში მიმიწვიეს. მისი ვაკევილები დღესაც ბევრ ჩამეში მეხმარება. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ წლის

საუკეთესო მეკარის პრიზიც სწორედ მან გადმომიცა.

● რამდენიმე წელი საქვეთურო პირველობის მეორე და პირველი ლიგებში გიწვევდათ თამაშში. როგორც მეკარეს, ხად უფრო მეტი დატვირთვა გქონდათ — რუსეთის გუნდებთან სექციებისა თუ საქართველოს გუნდებთან შეხვედრის დროს?

— ალბათ, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ბევრი მეკარე დამიდრებოდა, რომ ჩვენს გუნდებთან თამაში უფრო ძნელია და, აი რატომ: ჩვენს ფეხბურთელებს უფრო მეტი იმპროვიზაციის უნარი აქვთ, იმპროვიზაცია კი, მოგეხსენებათ, თავდასხმეულს საჯარო მოედანზე უფრო სწორდება. ამიტომაც, ყოველ წუთში დამაბული უნდა იყო, თორემ ოდნავი მოღუნებაც კი ძვირად დაგიჯდება. რუსეთი კი ძალიან ბევრ რაზმთან ფეხბურთის თამაშობენ და მათი ჩანაფიქრის გამოცნობა შედარებით იოლია. ცენტრალური ტრენინგის გადცემაში — „საფეხბურთო მიზანილია“, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია თვალს ვადევნებ, ჯერ არ მინახავს ისეთი გატანილი გოლი, როგორც „შეზარდნი“-1906-ის მოთამაშე ლევან ყიფიანიმა თბილისის „იბერიის“ კარში გაიტანა.

● ნიკა, თქვენი აზრით, რა პრობლემები დადგენს ჩვენს ფეხბურთში; რა უფროა დასახვეწი, პირველ რიგში, ეროვნულ ჩემპიონატში?

— პირველობა გვიჩვენა, რომ თამაშში სხვებზე ნაკლებად არც ჩვენ შეგვიძლია. პრობლემები რომ საქართველოში დაგვიფაროდა, ესეც თვალსაზრისად ჩანს. ყოველივე ამის აღმოსაფხვრელად, თავდაუზოგავი შრომა გვმართებს. მაგრამ ის, რის გაკეთებაც დღეს შეგვიძლია, სახელობად არ უნდა გადავლოთ. რა დიდი პრობლემაა იმის მოგვარება, რომ შეხვედრების დროს, კარების უკან ფორტოპორტიოებისა და წესრიგის დამცველთა გარდა, სხვა ხალხი არ იდგეს. არადა, დიდი სტადიონების გარდა, ყველანაირი რაოდენობით იყოს თავს ხალხი კარის უკან. ხშირ შემთხვევაში, ანაირ გულშემატკივრებსა და მეკარეებს შორის ნამდვილი ჭართული ხალხური „შაირობა“ იმართება ხოლმე. ასეთ პირობებში კი მატჩის ნორმალურ წარმართვებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ფეხბურთის შახვედრის ამბავები

ვეროკის მკვლევარის ჩემპიონატები

მადრიდი. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთმანეთს შეხვედნენ ამ ქვეყნის მოქანავე კლუბები: „ბარსელონამ“ უკანაინდო მადრიდის „რეალს“.

მატჩის დასაწყისში „ბარსელონას“ კარში დაინშა 11-მეტრიანი, მაგრამ სტუმრებმა ვერ გამოიყენეს კარის აღების ეს შესაძლებლობა. შემდგომში დანიშნულ ფეხბურთელმა ლაულერუმმა, რომელიც „ბარსელონაში“ გამოდის, გახსნა ანგარიში, მაგრამ მადრიდელმა ბუტერავნიომ მალე საბასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე, „რეალის“ მცველმა სპანინმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი და გამარჯვება „ბარსელონას“ დარჩა — 2:1.

ჩემპიონატში წინაა „ბარსელონა“, რომელსაც 19 თამაშის შემდეგ 31 ქულა აქვს, შემდეგ მოდის „ატლეტიკო“ — 27 ქულა, „ოსასუნა“ — 25, „სევილია“ — 23 და მადრიდის „რეალი“ — 21.

ნის ღირსია „რომას“ წაგება საკუთარ მიწოდარზე „პინასთან“ მატჩში — 0:2.

● **ბაიბარტა** ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი გერმანიის „შტუტგარტისა“ და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა შორის. გამარჯვება „შტუტგარტმა“ — 3:1.

● **მილანი.** განახლდა კონტრაქტი „მილანის“ ხელმძღვანელობასა და პოლანდიელ ფეხბურთელ ფრანკ რაიკარდს შორის. პოლანდიელი ფეხბურთელი 1993 წლამდე ითამაშებს „მილანში“. კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 28 წლის ფ. რაიკარდი შეფასებულია წელიწადში 1,7 მილიონ დოლარად. საერთოდ კი, ფ. რაიკარდი „მილანში“ გამოდის 1988 წლიდან.

● **ნაპოლი.** აქ შედგა მეტად საინტერესო მატჩი იტალიისა და ინგლისის საფეხბურთო ლიგებში მოთამაშე ფეხბურთელთა შორის. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 3:0.

● **კასტელიონი.** იტალიის ამ ქალაქში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ესპანელთაგან თავი გამოიჩინა მიაიბ, ხოლო პორტუგალიელთაგან — ისენაო.

● **გაუნოს-ბირსი.** აქ გამოქვეყნდა ბრძანება, რომლის თანახმად, ხულიგნური საქცილისთვის ტრიბუნებზე დაატვირთულ გულშემატკივრებს შემდგომში აეკრძალებათ არგენტინის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება. ასეთი დადგენილება გამოიტანა არგენტინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამასწინათ მოხდარი ინციდენტის გამო, რომლის შედეგად მრავალი გულშემატკივარი დაიჭრა და ერთი დაიღუპა.

„მწველი მიწოდარზე“

როცა ექსპერტები უკანასკნელ წლებში მსოფლიო თუ ევროპის სხვადასხვა იდეალურ ნაკრებებს შეადგენენ ხოლმე, მასში აუცილებლად ხვდება საყოველთაოდ აღიარებული ისტატი, გერმანელი ლოთარ მათეუსი.

ლოთარ ჰერბერტ მათეუსი დაიბადა 1961 წლის 21 მარტს ერლენგენში. 175 სმ სიმაღლისა და 71 კგ იწონის. ჰაბუკობისას, 1975-79 წლებში თამაშობდა „ფკ ჰერც ოგენაურახში“. 18 წლისამ პირველ პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი მიუნხენლანდის „ბორუსიასთან“ და თანდათან მოიპოვა ბუნდესლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელის რეპუტაცია. როცა 1984 წელს მიუნხენის „ბაიერნი“ დათანხმდა, რუმენივე კოლოსალური თანხის ფასად დაეთმო მილანის „ინტერი-სათვის“, სანაცვლოდ დაუყოვნებლივ მიიწვია მათეუსი, რომელიც მამინ უკვე ეროვნულ ნაკრებს წევრი იყო. მისი დებიუტი ნაკრებში ჯერ კიდევ 1980 წელს შედგა, იტალიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალში. მაშინ ნაკრების ხელმძღვანელობა სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ მათეუსისათვის

ჯერ კიდევ ადრე იყო დირიჟორის ჯობის ჩანაჩება, მთ უმეტეს, რომ მაშინ, ამ ამბულს ბრწყინვალედ ახთმევედა თავს შუსტერი. მას შემდეგ, რაც ეს ამბიციური ნახევარმცველი ნაკრებს ჩამოშორდა, გამთამაშებლის ფუნქციები მათეუსმა იტვირთა და საკმაოდ კარგადაც გაართვა თავი. 1986 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში იგი უკვე გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო. ვაგისხენოთ, რომ გუნდის კაპიტან რუმენიგესა და ნაკრების ხელმძღვანელ ბეკენბაუერს შორის სათანადო ურთიერთგაგება და კონტაქტი არ დამყარებულა, ხოლო ცნობილი ნახევარმცველი მათეუსი ასაკის გამო თავის მაღალ ისტატუსს მხოლოდ ეპიზოდურად ავლენდა.

როცა მათეუსი „ბაიერნი“ გადავიდა, ამ გუნდში ჩინებული გამთამაშებელი ჰყავდათ — დანიელი სიორენ ლორბი. ზოგი მიმომხილველი მიიჩნევდა, რომ მათეუსი და ლორბი ერთმანეთს „დაეტაკებოდნენ“, მათ რომ ლიდერობის პრეტენზია ჰქონდათ. შრავალნაციდ მწვინელთა უღო ლატეა კი თვლიდა, რომ ეს ორი ისტატი ერთმანეთს სულაც არ შეუშლიდა ხელს

— რატომ არ შეიძლება გუნდს ორი დირიჟორი ჰყავდეს? ერთხანს ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ შემდეგ ლორბი მიახვ გუნდთან გამოთხოვედა არჩია.

მაშ ასე, მათეუსმა დაუსწრებლად დასწრებულ „ორთამბოლეში“ გზიდან ჩამოიცილა შუსტერი, მაგათი და ლორბი. 1986 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფერს ნაკრებს ვეტერანების დიდი ჯგუფი გამოეთხოვა და გუნდი საფუძვლიანად გადახალისდა, ასე რომ, მათეუსი კოლექტივისათვის ცენტრალური ფიგურა გახდა — თავისებური „მწველი მიწოდარზე“, თამაშის საუკეთესო რგანიზატორი, ამასთან, ჩინებული სანიპერიც.

როცა მათეუსი ტრავმის გამო ნაკრებში არ გამოდის, ამ გუნდის თამაში ნამდვილად უფერულდება. გფრ-ის ნაკრებმა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის სავსურის ბედი არ აწუხებდა, ამხანაგური თამაშების თვლი სერია გამოართო. დასაშვლულმა მათეუსმა სამჯერ ვერ შეძლო მიწოდარზე გამოსვლა და... ბეკენბაუერი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მის გარეშე ნაკრების ზვირთან თამაშზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

1990 წლის სეზონი მათეუსისათვის ნამდვილად ბრწყინვალე გამოდგა. ყველას ახსოვს, როგორ თამაშობდა იგი მსოფლიო ჩემპიონატში. „მესამე ცდით“ გერმანელი ისტატი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ახლა კი მილანის „ინტერის“ შემადგენლობაში იტალიის პირველობაზე ოქროს მედლისათვის იბრძვის.

კიდევ რამდენ ხანს ითამაშებს მათეუსი? მისი აზრით, მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისთვის უკვე ხანდაზმული იქნება და ნაკრებს აღარ გამოადგება. თუმცა, ვინ იცის?!



